გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ხაშურის მოამბე

№14 (296) 26 მაისი, ოთხშაბათი, 2021 წელი

26 მაისი ის ქვაკუთხედია, რომელზეც დამყარებულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა

ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს ვულოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს.

26 მაისი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია. არაერთი თაობა იბრძოდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის. 1918 წლის 26 მაისს ეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

სამწუხაროდ, პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა, ჩვენს ხალხს არ შეუწყვეტია ფიქრი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე. ყველა თაობა გულით და გონებით ატარებდა ამ იდეას. 26 მაისი ის ქვაკუთხედია, რომელზეც დამყარებულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა.

გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს, გისურვებთ ბედნიერებას, ქვეყნის წინსვლასა და თავისუფალი საქართველოს სამსახურს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ძვირფასო თანამოქალაქენო!

გილოცავთ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. 1918 წელს, ამ დღეს საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩაეყარა საფუძველი.

26 მაისი ყველაზე ძვირფასი დღეა ჩვენს ცნობიერებაში. ამ დღისთვის იბრძოდნენ თაობები, ჩვენი დიდი წინაპრები. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც, სოფელ ოსიაურთან.

სამშობლოს გათავისუფლების იდეისთვის ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია - 103 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თავი დავაღწიეთ რუსულ ოკუპაციას, ასრულდა ყველა ქართველის სანუკვარი ოცნება და ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დღეს კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს მათ, ვინც თავი შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობას. გვჯერა, საქართველო კვლავ დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მოიპოვებს თავისუფლებას და ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ისევ შევძლებთ ცხოვრებას გამთლიანებულ და ძლიერ საქართველოში!

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს! გისურვებთ ბედნიერებას, ქვეყნის წინსვლასა და თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სურამი საკურორტო სეზონს განახლებული საგზაო ინფრასტრუქტურით უმასპინძლებს

სურამში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. მათ შორის, უკვე დასრულდა ამაღლებისა და სააჯიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია, ხოლო უახლოეს პერიოდში დასრულდება მათიაშვილის ქუჩის მოწყობა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სამივე პროექტზე ერთად 500

000 ლარზე მეტი დაიხარჯება. სამუშაოები მოიცავს ასფალტის საფარისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობას.

სარეაბილიტაციო სამუშაოები შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მამუკა სადარეიშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივებსაც შეხვდა. „საგზაო ინფრასტრუქტურის გარდა, სარაჯიშვილის ქუჩის მცხოვრები ბავშვების თხოვნით, მალე ამ ქუჩაზე სტადიონი მოეწყობა.

„მიხარია, რომ ბავშვები და ახალგაზრდები ინიციატივას იჩენენ და იდეებს გვიზიარებენ, მით უმეტეს, როდესაც საკითხი სპორტსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას შეეხება. სურამი ერთ-ერთი გამორჩეული საკურორტო ზონაა, როგორც რეგიონისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მაქსიმალურად მოწესრიგდეს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დაბის საკურორტო პოტენციალის გაზრდას.“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #23

2021 წლის 13 მაისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2021 წლის 23 მაისის სხდომაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც საკრებულოს მიერ შეფასდა დადებითად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადებითად იქნას შეფასებული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული სამუშაოების ა ნ გ ა რ ი შ ი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს, „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს,„ ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებისა (ზედამხედველობის სამსახურის დებულება) და სხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2020 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებულ სამუშაოების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

2020 წელს სამართალდარღვევათა პრევენციის და გასატარებელ ღონისძიებათა მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ეტაპობრივი შემოწმება, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მოქალაქეებს, პერიოდულად, განემარტათ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შესახებ.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ, პრევენციის მიზნით, პროექტებს, რომელთაც მშენებლობის ნებართვის ვადები უმთავრდებათ ვადის დასრულებამდე 2 თვით ადრე, გაეგზავნათ გაფრთხილებები, რომ თვალყური ადევნონ მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებს, რათა მათ მიმართ მშენებლობის ვადის გაშვებამ არ გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება. ამასთან ერთად, 2019 წლის 3 ივნისიდან კანონმდებლობით სავალდებულო გახდა, (2. 3. 4. კლასის მშენებლობებისთვის) მშენებლობის თითოეული ეტაპის შესრულების შესახებ ოქმის წარმოდგენა, მომავალში საჯარიმო სანქციების თავიდან აცილების მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდება გაფრთხილებების გაგზავნა ეტაპის ოქმის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს საჯარო ზედამხედველობას, სამშენებლო/სანებართვო პირობების შესრულების, მშენებლობის უსაფრთხოების, უნებართვო მშენებლობის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის გამოვლენას და სათანადო რეაგირებას.

სამშენებლო სამართალდარღვევის შესაძლო არსებობის შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური, საქმისწარმოებას იწყებს მითითების გაცემით, რომელიც წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას შეუსაბამობაზე და მოთხოვნას, რომლითაც განისაზღვრება გონივრული ვადა, რომლის ვადაშიც უნდა შესრულდეს მითითებით განსაზღვრული პირობები, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია საქმისწარმოება დაიწყოს ასევე შემოწმების აქტით.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2020 წელს, საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“ და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად გაცემულ იქნა 9 მითითება და 17 შემოწმების აქტი.

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“ და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ არ შესრულდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული მითითება, ან შემოწმების აქტის დაწერის შემთხვევაში, არ გამოსწორდა (შესაძლებლობის შემთხვევაში) სამშენებლო სამართალდარღვევა, ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ, რის საფუძველზეც გამოიცემა დადგენილება. 2020 წელს გამოცემულია 15 დადგენილება დაჯარიმების შესახებ, ჯარიმების საერთო ოდენობა შეადგენს 12700 ლარს, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია სრულად. აგრეთვე მოგახსენებთ, რომ 2021 წელს, ამ მომენტამდე, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად, გამოცემულია 7 დადგენილება დაჯარიმების შესახებ, ჯარიმების საერთო ოდენობა შეადგენს 4000 ლარს, აგრეთვე მიმდინარეობს 2 შესაძლო სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე საქმისწარმოება, უნებართვო მშენებლობასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილია 6 სამართალდარღვევის ოქმი. აქედან 3 შემთხვევაში მოხდა სამართალდამრღვევის დაჯარიმება (3000, 1000 და 500 ლარის ოდენობით), 3 შემთხვევაში მოქალაქეს მოსამართლის მიერ მიეცა გაფრთხილება.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 47 მშენებლობადასრულებული ობიექტი, აქედან კომერციული ობიექტი არის 31 , საცხოვრებელი 16.

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვას. 2020 წელს დაემატა ახალი 21 გადამხდელი, ხოლო დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 82 669 ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე მონაწილეობენ ბიუჯეტის სახსრებით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებაში, 2020 წლიდან დღემდე სულ დადებულია 100 ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

2020 წლიდან დღემდე, საქართველოში ისევე როგორც მთელ მსოფლიოში არის კორონავირუსის პანდემია, პანდემიის მთელი პერიოდის მანძილზე ზედამხედველობის სამსახური აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საქმიანობებში, მთავრობის დადგენილებების შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა ყველა იმ ობიექტის საქმიანობის შემოწმებას, რომელიც შესამოწმებლად იგზავნებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, კერძოდ პანდემიის მანძილზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა, სამშენებლო ობიექტები, სკოლები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტები, ავტოტექმომსახურეობის ობიექტები, სასტუმროები, აგრარული ბაზარი, სილამაზის სალონები და სხვა . შემოწმების პროცესში ადგილზე ივსებოდა შემოწმების აქტები და ზოგადი კითხვარი, ასევე ხდებოდა ფოტო მასალის გადაღება რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში იგზავნებოდა ჯანდაცვის სამინისტროში, გადაგზავნილი მასალების საფუძველზე ჯანდაცვის სამინისტრო იღებდა გადაწყვეტილებას შემოწმებული ობიექტისთვის საქმიანობის შეჩერების, ან ფუნქციონირების შესახებ. ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა ფასების მონიტორინგს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ძირითად პროდუქტებზე.

ოთარ მახარაშვილი,
მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელი

- გენდერული თანასწორობა -

პროექტი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა როლს მნიშვნელოვნად გაზრდის

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელს, პატრიცია როსას შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშემწყობ საკანონმდებლო მექანიზმებსა და კულტურულ ასპექტებზე.

პროექტს ახორციელებს გერმანული საკონსულტაციო კომპანია GFA Consulting. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობას შიდა ქართლის რეგიონში და დაეხმაროს ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს ქალთა ცნობიერების ამაღლებისა და გაძლიერებისკენ მიმართულ საქმიანობაში.

პროექტის - „განახლებული რეგიონები“ - ფარგლებში კომისიებმა კონკრეტული მდებარეობები შეარჩიეს

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ურბანული განახლებისთვის მდებარეობები პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში სპეციალურმა კომისიამ ამ დღეებში შეარჩია.

რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი წინადადებებიდან, პირველ ეტაპზე, შეირჩა: გორის მუნიციპალიტეტში ცენტრალური (სტალინის) გამზირი, კასპის მუნიციპალიტეტში - ქალაქის ცენტრი და გიორგი სააკაძის სახელობის სკვერი, ქარელის მუნიციპალიტეტში - ჭავჭავაძის, თამარ მეფის და ნინოშვილის ქუჩები, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტში - ცენტრალური მოედანი და მიმდებარე ტერიტორია

ქალაქ გორში კომისიის სხდომას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში მამუკა საღარეიშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები და რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

„უკვე 8 რეგიონი მოვიარეთ და კომისიის სხდომები ჩავატარეთ, რაც უმნიშვნელოვანესი ეტაპია პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის. განსავითარებელი არეალები ყველგან წარმოადგინეს მუნიციპალიტეტებმა, ანუ იმ ადამიანებმა, ვისაც კარგად ესმის ადგილზე არსებული საჭიროება და გამოწვევები. რა თქმა უნდა, საჭიროება ბევრად მეტია, ვიდრე ამას პირველი ეტაპი მოიცავს, თუმცა, ეს არის ის დასაწყისი, რომელიც ძალიან დიდ მუხტს მისცემს როგორც მოსახლეობას, ისე - ვიზიტორებს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური გარემოს თვისობრივი განახლება, განვითარება და რეალურად ახალი შესაძლებლობების გაჩენა, რათა მაქსიმალურ ინკლუზიურობას მივაღწიოთ,“ - აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

პროგრამის ფარგლებში, კომისიის სხდომები უკვე გაიმართა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში და აღმოსავლეთ საქართველოს 4 რეგიონში - კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში.

ტენდერები უკვე ყველა მუნიციპალიტეტისათვის გამოცხადდა. ტენდერების შედეგად, გამოვლინდება საპროექტო და სამშენებლო კომპანიები, რომლებიც მოამზადებენ სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული ობიექტების ურბანული განახლების პროექტებს და შეასრულებენ ამავე დოკუმენტაციით განსაზღვრულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს

„განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამა 4-წლიანია და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია და ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის/მდებარეობების განვითარებას გულისხმობს.

პროექტები განხორციელდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ტაშისკარი-ქვიშხეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა

პროექტის ფარგლებში დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო სანიაღვრე სისტემა და საგზაო მონიშვნები.

ქვიშხეთი და ტაშისკარი ხაშურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საკურორტო ზონებია. შესაბამისად, მოწესრიგებული საგზაო

ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს 1000-ზე მეტი ადგილობრივისა თუ დამსვენებლის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ჯამში ერთ მილიონ ლარზე მეტი დაჯდა.

დაბა სურამში თაყაიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მიმდინარეობს. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით თაყაიშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზას რეაბილიტაცია უტარდება, რომლის ფარგლებშიც დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე სისტემა. პროექტის ღირებულება 200 000 ლარამდეა განსაზღვრული და მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი გაეცნო და აღნიშნა, რომ მალე დაბა სურამში არაერთი ქუჩა სრულად იქნება რეაბილიტირებული, ეს კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ადგილობრივების, ისე დამსვენებლების პირობებს.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

შეიძლებოდა კიდევ სხვა ანალოგიების მოტანაც. მაგრამ ზემო ჭალისა და ზუგდიდის ხატებს უკვე იმდენი და ისეთი ხასიათის საერთო მომენტები აღმოაჩნდათ, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ორივე ეს ძეგლი ერთი სახელოსნოს ნაწარმოებია".

თ. საყვარელიძე ასახელებს შესაძლო, სავარაუდო სახელოსნოსაც, კერძოდ ცაიშს, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ოქრომჭედლობის არაერთი ნიმუში.

ზემო ჭალის XVI საუკუნის ვერცხლის ხატი კარედი, როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული საოქრომჭედლო ხელოვნებისა.

ე. თაყაიშვილმა დაგვიტოვა აგრეთვე ზემო ჭალის ეკლესიაში დაცული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნივთისა და ხელნაწერის აღწერილობა. კარძოდ,ესენია: **წმინდა ნიკოლოზის გულზე სატარებელი ვერცხლის ხატი.** იგი შემკობილი ყოფილა ძვირფასი თვლებით. ხატს მეორე მხარეზე გააჩნდა ხუცურით შესრულებული წარწერა: „ქ. შენ საშინელისა ღ (ვთ)ისა ს(ა)რწმ(უ)ნ(ოე)ბით მღ(აღა)დ(ე)ბ(ე)ლო, დიდო, მ(დ)დ(ე)ლთ-მთავარო ნიკ(ო)ლ(ო)ზ, ევედრე ქ(რისტ)სა ღ(მერთს)ა,რ(ათ)ა ც(ო)დვათა შ(ე)ნდ(ო)ბა მომანიჭოს და ს(უ)ლთა ჩ(ემ)თა დიდი წყ(ა)ლ(ო)ბა მზისიერსა“

ვერცხლის ფეშხუმი, რომელზეც მხედრულით შესრულებული წარწერა იკითხებოდა: ''ქ. მოიხსენე, უფალო, აბაშიძე ვახუშტი, ბატონიშვილი ანუკა, ძენი და ასულნი მათნი.''

მაცხოვრის ხატი, რომელსაც ოქროთი დაფერილი ვერცხლის არშია ჰქონდა გარშემო. ხატს არშიაზე მხედრულით შესრულებული წარწერა გაჩნდა: „ყოვლად დიდებულო მაცხოვარო, მოგბეჭდე მე ცოდვით მტვირთ მძიმემან, ხისინის (ქიზიყის – თ.ლ.) მოურავის ასულმან და აბაშიძის (აბაშიძის) ლალთხუცის კნეინამ, ანამ, საოხათ სულთა ჩემთა და მიცვალებულისა ძისა ჩემისა იოვანესთვის, და სულითა ჩემთვის, წელსა ჩყკ (1820), მარტის კთ(29)''258. ხატის „მომბეჭდავი" ანნა ქვიშხეთელი აბაშიძეების რძალია, ვახუშტი აბაშიძის შვილიშვილის-სახლთუხუცეს გიორგი აბაშიძის მეუღლე. იგი მოიხსენიება ი. ბაგრატიონის „კლამასობაში".

ბზის ხის ჯვარი, რომელზეც გამოქანდაკებული ყოფილა „სხვადასხვა მშვენიერი რთული სურათები სახარების შინაარსიდგან და რომელიც მოჭედილია ოქროთი დაფერილი ვერცხლით. შემკობილი მრავალი წვრილი მარგალიტებით და სხვა ძვირფასი თვლებით. ჯვარს ტარი ვერცხლისა ჰქონია, რომელზეც ბერძნულად ეწერა: „წინამდებარე ჯვარი მეკუთვნის მე ნიკიფორეს, იეროდიაკონს წმიდისა და ცხოველს მყოფელისა საფლავისა, 1669''.

როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, ეს ის ჯვარი უნდა იყოს, რომელზედაც ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში ნათქვამია: ''ვერცხლით მოჭედილი ნაწილიანი პატარა ჯვარი თურამეტი ხოშორის მარგალიტითაა, ხუთის სეილანითა.''

ორი რუსული ხატი: ერთი სამებისა და მეორე წმინდა ნიკოლოზისა. ორივე ხატის არშია მოჭედილია. ამ ხატების შესახებ ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში აღნიშნულია: „რუსული აშია მოჭედილი სამების ხატი ერთი, რუსული აშია მოჭედილი წმინდის ნიკოლოზის ხატი ერთი''.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ მან ეკლესიაში ნახა ოთხი ხელნაწერი წიგნი. იგი მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ხელნაწერზე შეჩერდა, რომელიც ვახუშტი აბაშიძე და ანუკა ბატონიშვილს ეკუთვნის. ეს არის პარხლის ხელნაწერი,რომელზეც ზემოთ იყო საუბარი და **სურათებიანი სადღესასწაულო, პარაკლიტონი და მარხვანის კვირაძლები ზადიკითა, ერთ წიგნად.**

ამ უკანასკნელისათვის გამოყენებულია თეთრი „მტკიცე მოსქო ქაღალდი,'' ტექსტი ნაწერია ლამაზი, ნუსხა-ხუცურით, რისთვისაც გამოყენებულია შავი მელანი, ხოლო სათაურები, დასაწყისი ასოები და ხშირ შემთხვევაში ფრაზებიც წითელი მელნით არის შესრულებული. ტექსტი თითო გვერდზე ორ სვეტად არის დატანილი და თითოეულ სვეტში 50 სტრიქონია.

ხელნაწერი შეიცავს 456 ფურცელს,რომელთა შორის 15 პარაკლიტონის წინ დაუწერელია და,როგორც ჩანს,სურათების გასაგრძელებლად არის დატოვებული. ყდა მაგარია, ხისაა და ტყავგადაკრულია. მის პირველ გვერდზე შუაში გამოხატულია ჯვარცმა. ყდას ვერცხლის სამბულები აღარ აქვს. თუმცა, მათი დასამაგრებელი ორი პატარ ვერცხლისავე სვეტი დაცული არის.

ხელნაწერი სრულია და კარგად არის დაცული.

სადღესასწაულოს მარცხენა აშიაზე მოთავსებულია ასამდე სხვადასხვა წმინდანის ფერადი სურათი. სურათები ერთი ზომისანი არიან. თითოეულ სურათის თავზე ასომთავრული ხელით შესრულებული იმ წმინდანის სახელია მოთავსებული, რომელსაც ეს სურათი წარმოადგენს, ყველა სურათის ქვემოთ ერთი და იგივე ფრაზაა გაკეთებული: „შეიწყალე აბაშიძე ვახუშტი,ამინ.“ სურათები სადღესასწაულოში იწყება სვიმონ მესვეტით და თავდება წინასწარმეტყველ მიქაიათი.

პატარა სურათების გარდა, ხელნაწერში დიდი სურათებიც არის მოთავსებული. პარაკლიტონის წინ 17 სურათია, ოთხ-ოთხი თითოეულ ფურცელზე, გარდა უკანასკნელისა, რომელზეც სურათს მთელი ფურცელი უჭირავს,მაგრამ დამთავრებული არ არის. მხოლოდ იესო ქრისტეს სახეა გამოსახული, იგი მდიდრულია და კარგადაც განირჩევა. აღნიშნული სურათები სახარების სხვადასხვა შინაარსს გადმოგვცემენ. პირველად დახატულია ხარება და უკანასკნელად ქრისტეს აღდგომა. ამ სურათების წინ მოთავსებულია თავისუფალი ხუთი ფურცელი, ხოლო მათ შემდეგ –ათი.

სადღესასწაულოს ბოლოს ახლავს ტექსტისავე ხელით შესრულებული მინაწერი: ''მწერალი ამისცა დეკანოზის შვილი ნიკოლოზ, ქრისტე შეიწყალე დღესა – მას გამოხსნისასა,'' მეოთხე გვერდზე იმავე ხელით სწერია: „ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა აბაშიძე ვახუშტი“, ხოლო მეათე გვერდზე შემდეგს ვკითხულობთ: ''წმინდანო მოციქულნო და ყოველნო წმინდანო, მეოხ და თანაშემწე ექმენით პატრონსა და მკითხველსა ამის ორსავე ცხოვრებასა, ამინ.''

პარაკლიტონის დასასრულის შემდეგ ვკითხულობთ „ქრისტე, შეიწყალე მწერალიცა ამისი დეკანოზის–შვილი ნიკოლოზ''.

მარხვის კვირაძლების ბოლოს იგივე მინაწერია, რაც პარაკლიტონის დასასრულს.

ხელნაწერს ბოლოში ერთვის გადამწერის მიერ ასომთავრულით შესრულებული მინაწერი: „აღიწერა წმიდა ესე და შემკობილია სადღესასწაულო პარაკლიტონი და მარხვის კვირაძლები ზადიკითა, ყოვლითურთ განშვენებულ და შემკობილია ხელითა ოსინის დეკანოზის – შვილის ნიკოლოზისითა. გევედრები მკითხველთა და კეთილად მსმენელთა, რათა მცირედცა ხსენებასა ყოფდეთ ჩემდა ცოდვილის მწერალისა, მთავრისა, რათა თქვენცა მოგცსეთ იესო ხსენება კეთილი. უკეთუ იპოვოთ შეცთომით სიტყვა, გამართვას ეცადეთ, რათა თვითონცა განმართლებული იყვნეთ დღესა მას განკითხვისასა. სრული იქმნა იანვრის „ქრისტეს აქეთ ჩღმ,ქკს ულდ'' (1746). ამ მინაწერის ქვემოთ აშიაზე სხვა ნუსხა-მხედრული ხელით წერია: „ათს იანვარს რომ ეს სადღესასწაულო გაათავა ამისმა მწერალმა, ოცდაათს იანვარს სანატრელი მეფის ვახტანგის ასული და აბაშიძე ვახუშტის მეუღლე, ბატონიშვილი ანუკა, მიიცვალა ამა ქორონიკონს ''ულდ.'' იესო, უფალო ჩვენო, განუსვენე შენსა ზეცისა სასუფეველსა, ამინ“.

ეს მინაწერი საყურადღებოა ერთი გარემოებით. ცნობილია ანუკა ბატონიშვილის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღი. პაპუნა ორბელიანის მიხედვით, ანუკა გარდაიცვალა 1746 წლის 1 იანვარს, ვახუშტი ბატონიშვილიც ამავე თარიღს უჩვენებს, მაგრამ თვეს და რიცხვს არ ასახელებს. ანტონ I კათალიკოსი ერთ-ერთ წერილში, რომელსაც ათარიღებენ 1746 წლის 25 იანვრით, საუბარია ანუკასი და მისი დის თამარის გარდაცვალების შესახებ. მაგრამ არც აქ არის ნაჩვენები თარიღი. მ. ბროსეს მიერ ანუკას გარდაცვალების თარიღად მიჩნეული იყო პაპუნა ორბელიანის ცნობა – 1746 წლის 1 იანვარი.

აღნიშნული ხელნაწერის მინაწერმა გარკვეული სიცხადე შეიტანა ანუკას გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებულ ცნობებში. მისი მიხედვით, იგი გარდცვლილია 1746 წლის 1 იანვარს კი არა, არამედ 30 იანვარს.

ჭალის კოშკი. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში'' ნათქვამია, რომ იოანე ხელაშვილი როცა ზემო ჭალაში აბაშიძესთან მივიდა,კოშკთან ჩამოვიდა ცხენიდან. ეს კოშკი ეკლესიის დასავლეთით მდგარა, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის საერთო საცხოვრებელსა და მექანიკური ქარხნის მრავალსართულიან ბინებს შორის. ჩვენს დრომდე კოშკმა ნანგრევების სახით მოაღწია, 50-იან წლებში კი იგი მთლიანად დაანგრიეს და მხოლოდ საძირკველიღა ჩანს. ის ისეთივე იყო, როგორც ხაშურის კოშკი, ისიც რიყის ქვით ყოფილა ნაგები.

საქართველში., საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწვავე ხასიათი მიიღო მართლმადებლური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მიზანმიმართულმა ბრძოლამ. იხურებოდა ეკლესიები, იდევნებოდნენ სასულიერო პირები. მათ მიმართ ხორციელდებოდა მკაცრი რეპრესიები. ბევრი მათგანი იძულებული იყო გაეხადა მღვდლის სამოსელი.

ფართო ხასიათი მიეცა ეკლესიების სხვადასხვა დანიშნულებსამებრ გამოყენებას. ხდებოდა მათი გადაკეთება კლუბებად, საწყობებად და სხვა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ხაშური წარმოადგენდა. 1923 წლისათვის აქ ოთხი ეკლესია დაიხურა.

1923 წლის 6 მარტს, ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში თავი მოიყარა ხალხმა. გაზეთი „ამიერკავკასიის რკინიგზელი“ წერდა: „ფრიალებდა წითელი დროშები, უკრავდა მუსიკა. ორატორება ცოცხალი ფაქტებით ნათელჰყვეს „წმინდა მამების“ თვალთმაქცობა. მიტინგის დასრულებლისას ეკლესია დახურული იქნა. და მის მწვერვალზე ჯვრის ნაცვლად აღიმართა წითელი დროშის ვარსკვლავი.

ამავე დღეს დაიკეტა ზემოჭალის წმინა ნიკოლოზის ეკლესია. ასეთივე ბედი ეწია რკინიგზის, გორათის და წმინა მარინეს ეკლესიებს.

1923 წლის 14 ივნისს, ხაშურის რაიონის აღმასკომმა განიხილა ხაშურს ეკლესიებს კლუბებად გადაკეთების საკითხი. დადგენილებაში ნათქვამია: „ხაშურის დიდი ეკლესია (წმ.იოანე ნათლისმცემლის ეკლესია-თ.ლ.) გადაკეთებულ იქმნეს **კარლ ლიბკნეტის** (ხაზი ჩვენია-თ.ლ.) სახელობის კლუბად და ყოფილი კლუბის ინვენტარი გამოყოფილი (იქნას) ახალი კლუბის საჭიროებისათვის“.

აღმასკომმა, ზემოთ აღნიშნული საკითხის „მოკლე ხნის განმავლობაში“ სისრულეში მოყვანის მიზნით, შექმნა სამკაციანი კომისია.

რკინიგზის ეკლესიის შენობა რკინიგზის პროფკავშირებს გადაეცა. ამის შესახებ 1923 წლის 17 აპრილის გაზეთი „კომნისტი“ წერდა : „აგერ სამი თვეა,რაც ხაშურის რკინისგზის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება ერთხმად სად. ხაშურის ეკლესიის რკინისგზის უბნის პროფესიონალურ კავშირის კულტურულ განყოფილებაზე გადაცემის შესახებ“.

1924 წლის 15 თებერვალს ხაშურს რაიაღმასკომმა დაამტკიცა კომკავშირის პრეზდიუმის დადგენიება ხაშურის ეკლესიის გუმბათის მოხსნს თაობაზე: „უკანასკნელი წინადადება მიეცეს კომუნალური განყოფილებას, რათა დიდი ეკლესიის გუმბათი იქნეს მოხსნილი საჩქაროთ“.

ზემოჭალის ეკლესია ამავე პერიოდში გადააკეთეს კლუბად. 1924 წლის 22 მარტს, აღმასკომის დადგენილებით, ჭალის ეკლესიაში მოწყობილი კლუბი გადაეცა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს (კომკავშირი).

მოგვიანებით, იოანე ნათლიმცემელის ეკლესიაში კვლავ აღდგა ღვთის მსახურება და გასულ საუკუნის 80-იან წლებამდე ერთ-ერთი მოქმედი ეკლესია იყო ქართლში მცხეთის შემდეგ. რაც შეეხება ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, აქ, 80-იან წლებამდე, განთავსებული იყო ჯერ კლუბი, შემდეგ კინოგაქირავება, ხოლო მოგვიანებით, 1958 წლიდან, რკინიგზის პურის საცხობი განათავსეს და საგრძნობლად გადააკეთეს. მას თითქმის ყველა მხრიდან მიაშენეს სათავსოები, მოანგრიეს სამრეკლო, მოშალეს მის ირგვლივ მოწყობილი სასაფლაო, სადაც ზემო ჭალელი აბაშიძეები იყვნენ დაკრძალულნი. 1989 წელს გათავისუფლდა შენობა, ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ინიციატივით დაიწყო მისი რესტავრაცია, რის შედეგადაც ეკლესიას დაუბრუნდა პირვანდელი სახე.

ხაშურში საეკლესიო და სასულიერო ცხოვრების აღორძინება XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე-ნახევრიდან დაიწყო, როცა ყველა ეკლესიაში აღდგა ღვთის მსახურება და განახლდა წირვა-ლოცვა.

ხაშური XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

ხაშურიდან რკინიგზის მთავარი სახელოსნოების თბილისში გადატანის შემდეგ, ხაშურმა, ერთხანს, თითქოს დაკარგა მნიშვნელობა, მაგრამ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, სურამის გვირაბის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, კვლავ დაიბრუნა თავისი ადგილი ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ხაშური-ბორჯომის რკინიგზისა და ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობაც. ამიტომ ხაშურმა უკვე მიიღო მკვეთრად გამოხატული მუშათა დაბის იერსახე.

ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 1892 წლის 13 ნოემბერს დაიწყო და 1894 წლის 30 აგვისტოს დასრულდა. რაც შეეხება ბაქო-ხაშურის ნავთსადენის მშენებლობას, მას დღის წესრიგში აყენებდა ბაქოს ნავთობზე მზარდი მოთხოვნილება. ამის გათვალისწინებით, დღითიდღე იზრდებოდა ნავთობის მოპოვებაც: თუ 1865 წელს ამოღებული იქნა 357 ათასი ფუთი ნავთობი, 1870 წელს იგი გაიზარდა 1.7. მლნ ფუთამდე, 1875 წელს 5.2. მლნ-მდე, 1890 წელს 242.9 მლნ-მდე, 1895 წელს – 384 მლნ-მდე, 1902 წელს – 637.7 მლნ. ფუთამდე.

ნავთობის მოპოვების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდებოდა მისი ბათუმში გადატანის აუცილებლობაც. ყოველწლიურად მატულობდა ნავთობით დატვირთული ვაგონების რაოდენობა. თუ 1889 წელს ბაქოში დაიტვირთა 31.292 ვაგონი 1900 წელს უკვე დაიტვირთა 134.470 ვაგონი. ამიერკავკასიის რკინიგზას და განსაკუთრებით სურამის გვირაბს საგრძნობლად უჭირდა ნავთობით დატვირთული მატარებლების გატარება. სურამის გვირაბს დღე-ღამეში შეეძლო გაეტარებინა მხოლოდ 140 ათასი ფუთი ნავთობი.

ამიტომ დღის წესრიგში დადგა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობის საკითხი. როგორც ირკვევა, ეს საკითხი ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა ხანებიდან დადგა დღის წესრიგში, მაგრამ მაშინ იგი დადებითად არ გადაწყვეტილა. მხოლოდ 1895 წლის ბოლოსა და 1896 წლის დასაწყისში ზამთრის პერიოდში, როდესაც სტიქიურმა მოვლენებმა აიძულა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა,რამდენიმე თვით შეეწყვიტა მუშაობა სურამის გვირაბის მონაკვეთზე, კვლავ დაისვა ნავთსადენის მშენებლობის საკითხი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სავანისუბანს კეთილმოწყობილი გზა დაამშვენებს



ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სავანისუბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე ხორციელდება ასფალტის საფარის პირველი ფენის დაგება, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტის საფარის ორი ფენის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

აღნიშნული გზით 900- ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი და სტუმარი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და 674 229 ლარს ითვლის.

სოფელ სავანისუბნამდე მისასვლელი გზის მოწყობა, უახლოეს პერიოდში დასრულდება.

- კოვიდ - 19 -

ხაშურში იმუნიზაციის პროცესი აქტიურ ფაზაშია, თუმცა სასურველ დონემდე ჯერ ვერ მივედით

როგორია ეპიდსიტუაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში, ზრდადია თუ კლებადი კოვიდ სტატისტიკა ქალაქში, აღმავალია თუ დაღმავალი პანდემიის მესამე ტალღის მიმდინარეობა... ხაშურში არსებულ ეპიდსიტუაციაზე და ვირუსის გავრცელების გაზრდილ და აწ უკვე კლებად მაჩვენებელზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის დავით ჩიქოვანის მიერ მოწოდებულ მორიგ, აქტუალურ ინფორმაციას გთავაზობთ:

-- მდგომარეობა ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ანალოგიურია. კოვიდ შემთხვევების მატება დაფიქსირდა აღდგომის შემდგომ პერიოდში, რაც სავარაუდოდ უკავშირდება მოსახლეობის მიგრაციას, როდესაც სხვადასხვა რაიონებიდან ხალხი ჩამოვიდა ხაშურის რაიონში... იყო საგრძნობი მატება მაისის 12-13 რიცხვებში, რის შემდგომ შეინიშნება კოვიდ 19-ით დაინფიცირების შემთხვევების კლება, ყოველდღე დაახლოებით 6-7 დარეგისტრირებული დადებითი შემთხვევა გვაქვს. სტატისტიკასაც რომ გადავავლოთ თვალი, დღეის მდგომარეობით 125 შემთხვევაა აქტიური, რა დროსაც ნაწილი განთავსებულია სტაციოპნარულ მკურნალობაზე ქარელის, გორის, ხაშურის რეფერალურ საავადმყოფოებში, 100-მდე შემთხვევის დროს კი ინფიცირებულები მკურნალობენ ბინაზე. სტაციონარში მოთავსებულია მეტწილად ასაკოვანი პაციენტები. სამწუხაროდ, გვაქვს ერთი ლეტალური შემთხვევა, პაციენტი რამდენიმე დღის წინ, სტაციონარში ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, გარდაიცვალა.

ხაშურია მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული კოვიდ შემთხვევების რაოდენობრივი სტატისტიკა ასე გამოიყურება: პანდემიის დაწყებიდან დღემდე ხაშურში დარეგისტრირდა 2640 შემთხვევა. გამოჯანმრთელებულია 2465 პაციენტი, გარდაიცვალა 44. ამჟამად, როგორც ქვეყნის მთავარი ეპიდემიოლოგები აღმიშნავენ, ხაშურშიც მესამე ტალღის დაღმავალ ფაზაზე ვართ, რის გამოც შემსუბუქდა ქვეყანაში მოქმედი რეგულაციებიც. თუმცა, შემთხვევები, როდესაც წერტილოვანი შეზღუდვების საჭიროებაა, კვლავაც აქტუალურია...

დავით ჩიქოვანი: -- კოვიდ ინფიცირების საყურადღებო შემთხვევები დაფიქსირდა ხაშურის მე-3 საბავშვო ბაღსა და მე-6 და მე-4 საჯარო სკოლებში. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სკოლები ხაშურის საგანმანათლებლო რესურცენტრთან შეთანხმებით,სრულად გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე, საბავშვო ბაღი კი 31 მაისამდე დაიხურა და გადავიდნენ იზოლაციაში.

ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს „პი სი არ“ ტესტირების გეგმიური პროცესიც დადგენილებით განსაზღვრულ დაწესებულებებში განსაზღვრულ დროში. შედეგად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, დადებითი შემთხვევები არ გამოვლენილა. გააქტირდა იმუნიზაციის პროცესიც.

დავით ჩიქოვანი: -- იმუნიზაციის პროცესი იმდენად გააქტიურდა,რომ ხშირად შეუძლებელია შესაბამის ელექტრონულ პროგრამებში ვაქცინაციის მსურველთა რეგისტრაციაც კი. პარალელურად, დღესაც მიმდინარეობს „სინოფარმის“ და „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აცრა. ველოდებით ვაქცინების შესაბამისი მარაგების შევსებას. დღის განმავლობაში „სინოფარმით“ დაახლოებით 40 პირი იცრება, იგივე რაოდენობა იცრება „ასტრაზენეკას“ ვაქცინითაც. დაწყებულია მეორადი აცრებიც. ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემული შესაბამისი რეკომენდაციის შემდგომ, იგეგმება ჩინური „სინოვაკის“ ჩაშვებაც იმუნიზაციის პროცესში. ვაქცინირებული პაციენტი 100 პროცენტით დაცულია, რომ თუნდაც დაინფიცირების შემთხვევაში არ მოხვდება სტაციონარში და სიტუაცია არ დასრულდება ლეტალურად. მისთვის დამახასიათებელი იქნება კოვიდ 19-ის ვირუსის მსუბუქი მიმდინარეობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ხაშურში მიმდინარე ვაქცინაციის პროცესში არ გამოვლენილა იმუნიზაციის შემდგომი სერიოზული სახის გართულებები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი დავით ჩიქოვანი მოსახლეობას კვლავ მოუწოდებს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობისაკენ და სთხოვს მათ მაქსიმალურად დაიცვან ქვეყანაში არსებული რეგულაციები. კიდევ ერთხელ აღნიშნავს,რომ ვაქცინაციის პროცესთან ერთად უმნიშვნელოვანესია პირბადის ტარება და დისტანციის დაცვა.

თეა ახალკაცი

რა აშენდება სურამის ტერიტორიაზე, რომელიც პროექტის - `100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში გაიყიდა

პროგრამის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში,დაბა სურამის ტერიტორიაზე,ყოფილი დიმიტროვის ბაღში,6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი „ოუქლენდმა“ შეიძინა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანია დასასვენებელ-საცხოვრებელ კომპლექსს ააშენებს.

„ოუქლენდის“ დირექტორის დავით უმეკაშვილის თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყო მიტოვებული, ამასთან, გადაშენების პირას მყოფი ტყის მასივი. თუმცა, კომპანიამ, სპეციალისტების ჩარევით, შეიმუშავა დეტალური გეგმა, თუ როგორ უნდა გაჯანსაღდეს და შეინარჩუნოს ტერიტორიამ უნიკალურობა.

მისივე ინფორმაციით, დასასვენებელ-საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის საინვესტიციო მოცულობა, დაახლოებით,7 მილიონი აშშ დოლარი იქნება. პროექტის ფარგლებში კი, მუდმივ სამუშაო ადგილს 40-მდე ადგილობრივი მიიღებს.

როგორც „ოუქლენდის“ დირექტორი აღნიშნავს, პროექტის ძირითადი ვერსია უკვე დასრულებულია, თუმცა არქიტექტორები მუშაობას აგრძელებენ და შესაძლოა, საბოლოოდ, მცირედი ცვლილებები (თუმცა, არა რადიკალური) კვლავ შევიდეს.

დავით უმეკაშილის თქმით, პროექტის მშენებლობა, სავარაუდოდ, ზაფხულში დაიწყება და 2 წელში დასრულდება.

ცნობისთვის, კომპანია „ოუქლენდი“ 2020 წლის ივნისში დარეგისტრირდა. მისი 100%-იანი წილის მფლობელი კი ეკატერინე გაჩეჩილაძეა.

ოჯახის სიწმინდის დღეს თხუთმეტმა წყვილმა დაიწერა ჯვარი

"ქრისტიანული ოჯახი უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის სადიდებელად“
ილია მეორე

საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის და საპატრიარქოს ჩოხოსანთა ინიციატივით, საყოველთაო ჯვრისწერის ტრადიციას 2016 წელს ჩაეყარა საფუძველი.

ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით, უჩვეულო გამოცოცხლებაა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები, სხვადასხვა ასაკის წყვილი - საყოველთაო ჯვრისწერის მოლოდინშია. წირვის დასრულების შემდეგ, ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა ალექსიმ (ახალკაცი), მამა ნიკოლოზთან (ბითაძე) ერთად, 15 წყვილს დაწერა ჯვარი, მათგან ყველაზე ხანდაზმული 80 წლისაა. ჯვარი დაიწერა ჩოხოსანმა, ხცისის საჯარო სკოლის დირექტორმა ლელა ქვრივიშვილმაც, რომელიც ახლახან შეუღლდა. ჯვარდაწერილ წყვილებს საჩუქრად გადაეცათ პატრიარქის ეპისტოლე და ოჯახის მფარველი ხატი, ისინი დალოცა უწმინდესმა.

დღესასწაულის ზენიტი - ხმლების ქვეშ, მრავალჟამიერის ფონზე გატარებული ჯვარდაწერილი წყვილები. ჭეშმარიტი ზეიმი, ბედნიერი სახეები, გულით მიძღვნილი სურვილები.

ამ დღის ღირსეულად აღნიშვნას, ხაშურის სადროშოს ჩოხოსნებთან ერთად , ყოველწლიურად ხელმძღვანელობს ჯვრისწერის სამსახურის უფროსი ფირან ღონღაძე. წლევანდელ ჯვრისწერას კი განსაკუთრებული ხიბლი შემატა გომის სადროშოს საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელის ირმა კაპანაძის მონდომებამ და აქტიურობამ.

ვულოცავთ ყველა ჯვარდაწერილ წყვილს და სრულიად საქართველოს ოჯახის სიწმინდის დღეს! ვუსურვებთ ძლიერ, მტკიცე და სიყვარულით შედუღაბებულ ოჯახებს!

ვულოცავთ!

ხაშურის სიგნალიზაციის ცენტრალიზაციისა და ,ბლოკირების სამმართველოს ადმინისტრაცია და მთელი კოლექტივი ულოცავს ამავე სამმართველოს მთავარ ბუღალტერს ქალბატონ ნინო ხომერიკს 60 წლის იუბილეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, სიმრავლეს და სიძლიერეს ოჯახში.

იგი ათეული წლების განმავლობაში წარმატებით უძღვება ამ სამმართველოს ფინანსურ საქმიანობას,რითაც დიდი წვლილი შეაქვს სს“საქართველოს რკინიგზის“ შეუფერხებელ და გამართულ მუშაობაში, მას მიღებული აქვს არაერთი მადლობა ხელმძღვანელობისაგან.

ქალბატონო ნინო, გისურვებთ, კიდევ მრავალი წელი გვეშრომოს ერთად ქვეყნის, ს.ს“საქართველოს რკინიგზის“და ჩვენი ოჯახების საკეთილდღეოდ.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი სამძიმარს უცხადებს ხაშურის #3 საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ლაბაძეს მეუღლის დავით ლაბაძის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.